



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000009707873520

№ 4-ი

03 / იანვარი / 2020 წ.

## განკარგულება

**„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №47 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

### მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №47 განკარგულების დანართში, კერძოდ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას დაემატოს ორი ერთეული ავტომანქანა: მერსედეს ბენცი 240; ს/ნ COC 803; 1997 და ნისან XTERA; ს/ნHLLH- 850, 2002), ხოლო ნუსხიდან პრივატიზების გამო, ამოღებული იქნას ავტომანქანები: ვაზ 21051; ს/ნ RAE 723 და უაზ 31514; ს/ნ WQW 680; 2010.

### მუხლი 2

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ჩამოყალიბდეს თანდართული ახალი დანართის შესაბამისად.

### მუხლი 3

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელემენტრონულად



კარლო ჯამბურია